


K 3055  
1a



მ ა ს ხ უ რ ი

# ანდაზები და გამოცანები

— მესტური ანდაზები და გამოცანები ერთად  
უნდა დაბეჭდილიყო, როგორც წინასიტუაციაშია  
მოხსენებული, მარა ჩემდა დამოუკიდებულის მი-  
ზეზის გამო დაიკარგა უკინასენებული რეკული „სი-  
ტუას მასალები და გამოცანების“ რომელიაც ეს  
ცდები შემდეგში ისიც ჩქარა დაკბეჭდო.

ახალ-სენაკი  
პ. თავართქილაძის სტამბა  
1895

Дозволено цензурою Тифл. 29 Іюня 1895 г.

## წინა სიტყვა.

ამ რვეულში მოთავსებული მაქვს 600-ზე  
მეტი ქართული ანდაზა და 50-ზე გამოცანა, რომელიც  
ჯერ პიღევ არსად ყოფილა დაბეჭდილი; პირ-  
ველად მხოლოდ ახლა იძებნება.

უკელა ეს ანდაზები სიტყვის მახალებითურთ  
შეკრებილი და გაგონილი მაქვს სამესჩეოთოში ახალ-  
ციხეში და ს. ხიზაპავრაში (ჯავახეთშია) ცოტაოდენი  
გურიაში გაგონილი მაქვს ე. ი. ის ანდაზები, რო-  
მელთაც ციფრები უზის. და რომელთაც ასოები უზის  
ის ანდაზები ეკუთვნის პ. „ვინმე მესხს“.

მომავალთა (ანდაზების) შემცრებელთა საადვილოთ  
ანხანზედ გავაწყევით, რომლის ხელ-მძღვანელობით  
იმედია, სხვანიც მიიღებენ მონიწილეობას და შეპე-  
რებენ ხალხში ანდაზებსა და სხვა ამ გვართა ზეპირ-  
თქმულებასა.

მესხი პ. გვარამაძე

1895 წ. მაისი 10

ქ. ბათომი

ავი პაპა იყავიო, ავი ჭამაც გიყავიო.  
 ავი შვილი დედ-მამას ნუ გაზრდიაო.  
 ავიფურთხამ ულვაშს მეცემა, დავიფურ-  
 თხამ წვერსაო.

ათჯერ გაზმანე და ერთხელ გახიეო.

۱) ალაგო ვისი ხარ? და ვინც ზედ მა-  
 დგანაო.

ამყოლს აჰყევ, დამყოლს დაჰყევ.

არა-მარა დარღუბალა.

არა მკითხე მიამბეო, მიტყეპე და მიაგ-  
 დეო.

۲) არა მკითხე მიამბეო, არტყეს პან-  
 ლურ მიაგდეო.

არა მშურს ჭირი ჭიმბურისათვის.

პრაფერი ბედაური შვილიაო (დაწუნე-  
 ბულზე).

არა შეჯდა მწყერი ხესა, არ ჩვეულა  
 გვარი მისი.

არ გაიხარა განუხარელმანაო.

არ გინდა ბერო, ცხონება? და ლმერთ-  
 მანც ნუ მოგცესო!

არ გინდოდეს ჭირიო, შეიჯგვირევი

ჩხირიო.

არსიანის მთასაზედა, პატარძალი თამა  
შობდა.

არც ცა იყო მაღლიერი, და არც არა  
ქვეყანაო.

არც შენი შარი მინდა და არც ხეირიო.

ასეთმა ფურმა დამწიხლოს, რომ ჩემ-  
ზედ ჩაფიქათ იწველიდესო.

არცა ვიყავ ქალი ვარგი, არცა შემ-  
ხვდა ქმარი კარგი.

არც ვჭამ რძესა და არც გამოუწვები მზესა.

\* ასს კაცს ერთი ცხვარი უხაროდაო.

აქეთ მოვწყდი ყოფასაო, იქით ქორწი-  
ნებასაო.

აქლემის კუნტრუში აღმართში გამოჩნ-  
დებაო.

აქ მე ვარ და გორს ამირანიო.

აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია.

აწყინოს ქერმა ლურჯასა.

ახლანდელი პატარძლები რწყილს და-  
წვენენ და აქლემს აშობინებენ.

ახუხულა ცაშიაო, ქარი უქრის თავშიაო.

აჰყვა ფეხის ხმასაო.

ა. ბატონს ბატონურად მოეპყარ და ყმას  
ყმურადაო.

ბებერი ბებლი\* კი არაა და მონახულიათ.

ბედი ხნამს, ბედი სთესს, ბედი მოყვანს ყანასა.

ბევრი მგლის ხრო ნავნებს ვერ იქს.

ბ. ბევრი ყოყმანი (ეჭვნეულობა) კაც  
წახდენს.

ბევრს ნუ იჯავრებ, მალე დაბერდებით

გ. ბელოტს სცივა და ხახამს წვერი  
სცივაო.

ბერო, სული გირჩევნია თუ ლამაზი ქალი?  
— სააქაოს ქალი მიყვარს და საიქიოს სულიო.

ბერიკაცი ბერდებოდა, ცხენს უკულმა  
შეჯდებოდა.

ბზე თუ სხვისაა, საბზელი ხომ შენიაო  
(ნაყროვანს).

ბოლოკის ძირი თხელი სჯობია.

ბრმა რას სტირის? და თავის უსინათ-  
ლობასაო.

ბუზი მყრალი კი არაა და გულის ამრე-  
ვიაო.

---

\*ბებლი-გრძნეულია, გინა მიხანი

ბრძანება ქონებაზედ ჰკილია.

გ

გავიქცე-ქაჯიანიაო; დავდევ და-ლაჯი-  
ანიაო.

გაიქცე საღლა წახვიდე, გასავლელი  
ხილი გაქვსო.

განცხადების თვეში ბებერმა მარწყვა  
მოინდომაო.

\*) გაეცეილს გატეხილი სჯობიაო.

გაწოდილო ქალო, მოთრეულო კუტალო;  
არც გსვამ წყალო და არც შეგირთავ ქალო.

\*) ბემი ისთეარ დაილუპება, რომ ერთი  
ფელუკაც არ დარჩესო (მოიტოვოსო.)

ბეჭირებოდეს—გელირებოდეს.

დ. ზეარი რას არგია კაცს თუ თვითონ  
არ არისო.

გვარიანი ცხენი წკიპურტსაც არ მიირ-  
ტყამსო.

ე. გვარიშვილობა სახელით კი არა და სა-  
ქმით გამოჩნდებაო.

გველის კუდს რა გაასწორებს, ხვრელ-  
შიაც კი კლაკვნით გაიცურვებსო.

გზა შორს მოიარე და სახლში მშვი-  
დობით მიდიო.

ზინდ ზღვას დაურჩეთვარ გინდ ცვარსაო.  
ზინება პატრონისააო.

გ. ზიუი და ტრფიალი ორივ ერთიაო.

გ. ზოგო ბიჭური მოყვრობაო არის დრო-  
თა ოხრობაო.

ც. ზონიერი კაცი ქვეყნის დაშვენებია  
და უგუნური კი დედა მიწასაც ემძიმებაო.

ბული გულობდეს, თორემ ქადა ორივე  
ხელით იქმდებაო.

თ. ბულმოსული კაცი და მთვრალი  
ორივ ერთიაო.

ბულქვა ადამიანი ლმერთსაც სძულს და  
კაცსაცაო.

ბული როსტომისა და ბარგი ლოკოკი-  
ნისაო.

\*) ბურიელის სული ნუ წაგიწყმდებაო  
(სიმართლეზე\*).

ბცემ და არ გატირებო.

ბცემ და არ გატირებ; არც გაჭმევ და  
ყბასაც მოგტეხო.

---

\* გურიელები გურის მთავრის შთამომავლები  
არიან გურიაში და დიდი პატივისცემა აქვთ მათი;  
ამისათვის ხალხი პატივით იხსენიებს და კიდევაც  
ფიცავენ მათ სახელს თუ გვარს.

ღ

დადგები სიმართლესა, გამოგილევენ  
სინათლესაო.

დადგები სიმართლესა, თვალთ მოვაკვ-  
ლენ სინათლესა.

დადარე მსხალი პანტას ბროწეული  
ბიასაო.

დაბადებით დაჰყოლია თამაზასა ტრ-  
ჭორაო; სწორეთ მითხარ, გამავონე, სწვა  
ნურასა მიჭორამო.

დაბალს ტყავი რო მოეწონება ძირს  
დაახეთქებს.

დავრდომილს წიხლი კი არა ჭ შველაუნდაო.

დამღუპა სიმართლემაო.

დარნი მუშაობდნენ და ჭმუშაკი იჭვ-  
ხიდნენო.

დაჰყარ წაქცეულსაო.

დედა მოკვდა შვილისთვინა, შვილი  
თავის თავისთვინა.

დედას და მამას პატივი ეცი, რომ დღე-  
გრძელი იყოვო.

1) დედა შენი ქორს რო მიჰქონდეს,  
შენ „პაიო-ს“ ნუ შეუძახებო.

დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს, ძმანნი

ყველას მირჩევნია; მაგრამ ერთი უცხოს  
შვილი თემ-ქვეყანას მირჩევნია.

\* ) დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს, თავი  
ყველას უკითხესად.

დიაკვანს ღვინო რომ მოსწყურდება  
მღვდელს ანიშნებს, რომ მერმე რიგი იმა-  
ზედ მოვიდესო.

დიდ-კაცთან შესვლა შენგნით არის და  
გამოსვლა იმისგანაო.

დიდს სიყვარულს დიდი სიმძლვარე  
მოსდევს (მოაქვსო).

## გ

ენად მრავალმან მუხლად მრავალს აჯობაო.

ენას ძვალი არ აქვს (ბევრს რასმეს იტყ-  
ვის).

ენაც რომ არა გქონდეს, ყვავებიც თვა-  
ლებს ამოგჭამენო.

ერთი აკლდა რვასაო, მიემატა ცხრასაო.

ერთი არაობა ათას გამარჯვებას სჯობიაო.

ერთი ფული გაცემული აქ, საიჭიოს  
დაგხვდება.

ერთი ფული კაცს არც ააშენებს და  
არც დააჭცევსო.

მრთის პირიდგან თბილიც ამოვა და  
ციფიცაო.

მრთის ყვავილით გაზაფხული არ შოვა.

მრთის შემხედავი წყალში ჩამხედავიო.

მრთი ხიდგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცაო.

მრთი ხელი ხმას არ გაიღებს, ორი-კი  
ტკაცანს გაადენსო.

მრთმა ჭიქა ღვინომ ამოლებული ხმალი  
ჩააგოვო.

მს ფონი კარგია, მაგრამ ერთს ადგილას  
კაცს ახჩიბსო.

მშმაკები ერთ-მანერთის მტერნი არიან,  
კაცის წახდენაზედ კი დამოყვრდებიანო.

მძებდი და კიდევ ჰპოვეო.

მძიეთ და ჰპოვებთო.

### 3

ვაიმე დედავ, დავიბადე დავიწვი და და-  
ვიდაგვ.

ვაი ცოცხლების ბრალი, თორებ მკვდ-  
რებს რა უჭირთო.

ი. ვაუკაცისა ნაქებია: გულ მდაბლობ  
სიმარდეო.

ვარდი მოჰკრიფე და ეკალს ცეცხლი  
შეუკიდეო.

ვერიდებოდი ბოლოკსაო, შემხვდა იმ  
სოფლის ბოლოსაო.

ვინ გითხრა: ბაირამი აჩანდურე და ნი-  
ჩაბი აკაკუნეო.

ვინც თავს მაღლა აიღებს, ფეხს წაიკრავს.  
ვინცა არის ნება ჩემი, იგი არის მამაჩემიო.

ვინცა ვისი მახარია, ეს იმისი მაყარიაო.

ვინც დაიმდაბლა თავი, იგი ამაღლდაო.  
ვინ იტყვის: ჩემი დო მჟავეაო!

ვინც აიკიდა გოდორი, მანვე შეჭამა  
კოტორი.

ვინც სხვას ორმოს მოუთხრის, პირვე-  
ლად თვითონ ჩავარდება.

ვირზე შეჯდომა ერთი და ჩამოჯდომა  
შეორე სირცხვილიაო.

ვირი კაცი აღდგომასაც ვირიაო.

ვირის მაღევარი ტლინკსაც უნდა უძ-  
ლებდესო.

ვირმა ტლინკი გაიქნია, მეც ნახირ-ნახირიო.

ვირს რო ზურგი აჭჭავდება, დარბაზის  
კარს მიადგება.

ვირსა რქანი არ ამოსვლოდა და თავი ემუ-  
ტრუკებოდაო.

ვირმა პალო წამოგლიჯა, ერთი პატრონს

და ორი თვითონ იკრაო.

ვისაც სახლი არ აეგო, სვეტები შიგ ამო-  
სული ეგონაო.

ვისაც ჭირი უნახია წამალიც იმას კითხეთო.  
ვისი ენა ჭარტალია მისი ყველა მართალია.

ვისი ერდო მაღალია, ეს იმისი მაყარია.  
ვსდიე, ვსდიე, ვერ მოვეწიე; დავდექ  
და უყურეო.

8

კ. ზარმაც კაცს თავის ხელ-ფეხი ნათ-  
ხოვარი ჰგონია.

ზოგი მფრინველია, — იმის ხორცსა სჭი-  
მენ, ზოგი მფრინველია, — ხორცს აჭმევენ.

ზოგსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულ-  
ტა გულსა.

ზოგს ხუცესი უყვარს, ზოგს ხუცის  
ცოლიო.

ლ. ზუზუნ წუწუნი ბუზისა და ქვრი-  
ვისა ორივე ერთიაო.

მ. ზღვა კოვზით დაილევაო.

9

ცე-ცე და არა არა.

თ

თავ-აშვებული ცხოვრება არავის არგიაო.

თავ-დაღებული-კუდ გაბზეკილიო.

,) თავი ვინ მოგჭრა? და მკვიდრმა ძმამაო.

თავი მოძულებული აქვსო; თავიდგან  
ხელი აულიაო.

თავი ქვასა ჰყარ და მუცელი სამართე-  
ბელსაო.

თავის ქება კიტრად ღირს.

თვალი დაუდგა ხუროსა, დაჯდეს და  
არახუნოსა.

თვალი ვინ მოგოხარა? და სვინამაო;  
იმისთვის ძირიანად მოუთხრიაო.

ნ. თვალი გულის სარკეა, ვინც დაპ-  
ვირდება, ბევრს რასმეს ამოიკითხავს.

თვალმან რაც ჰქმნას, წარბს ზევით ვერ  
წაგა.

თვას რომ ცეცხლი ეკიდებოდეს, მეც  
ხელებს მოვითბობო.

“) თითო გობი ლაფი ყველგან სდგასო.

“) თითო გობი ლაფიყველგან სდგას,  
ჩემსას კი ათგანაო.

თოვლი იმისთვის მოვა, რომ კაცს ფე-  
ხებს მოსძრამსო.

თოხი კიკოსა, წალდი ნიკოსა, თოკი ჩემს  
ცოლსა და ძალლი ჩემ სულსაო (აჭარ-  
ლის ანდერძი).

თუ არ გინდოდეს ჭირიო, შეიჯვირევი  
ჩხირიო.

12) თუ არ იცოდე ხერხიო, დედაშენს  
ტურის ფეხიო.

თუ შენი არა იხარჯებოდეს, ლხინს ნუ  
დაერიდებიო.

თუმც ერთის ხილგან ჰარიცგამოვა და  
ნიჩაბიცა, მაგრამ ორივეს ტარი ერთიაო.

თუ ჭირისუფალი არ სტირის, მოტირა  
ლი ვისი მოვაგლახეაო.

თხა თავს სტიროდა და ყასაბი ქონსაო.

## 0

13) იანვარში ბებერმა მარწყვი მოინდომიო.

იაფის ფასისაო წვენი ძალლისაო.

იმედიც კარგიაო.

იმერელმან ნალი იპოვნა და სთქვა: ღმე-  
რთო, სარკინეთი ამოაგდე!.. ერთი ცხენი  
და სამი ნალი მაკლია ცხენი რომ გავი-  
ჩინოვო.

იმდენს გირტყამ-მომიხედო, ვერ მიცნაო  
(ერთიც ვერ დაითვალიფვო.)

იმერელმან ნემსი იპოვა და ქოჩორზედ  
დაიკიდა, სიცივეს დამიკავებსო.

იმერელს სახლში ნუ შეუშვებ — სიძე-  
რაბას მოვინდომებსო.

ირემმა ირემს ბალახი აუშვირა, — არც  
შენ გაკლია და არც მე, მაგრამ ჰატივის  
ყრაათ.

<sup>14)</sup> იქითკენ უნდა ეცადო, საითაც წყალი  
დგებაო.

3.

ქაკაბმა სთქვა: ერთმა ასეთმა ალაომა ჩა-  
მომიქროლა, რომ, რაც კი სიმღერა ვიცოდი  
სუყველა დამავიწყაო.

ქალთაშიაც გიზივარ და წვერსაც გა-  
გლიჯავო.

ქარგის მაძებარი-ავს შეეყრებაო.

ქარგი პაპა იყავიო, კარგი ჭამაც გიყავიო.

ე ქარგ-კაცობა კაცს არასოდეს წაახდენსო.

ქარგი ლვინის ნაძირალი, კარგი კაცის  
ნაცოლარიო.

ქატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია  
დღესაო.

ქარვი ცხენი ქეჩს მოიმატებს, ავი ცხე-  
ნი მათრახსაო.

ქატა მეფეს შეხედამს.

<sup>15)</sup> ქაცი ვერ შესწუდა ცხენსაო, უნაგირს  
უწყო ტეხაო.

ქაცია და გუნებაო, როგორც ეპრაგუ-  
ნებაო.

ქაცი თვალით არ გაისინჯება.

ქაცი ნუ მოკვდება, თორემ თუნდა სა-  
ნახველაზე გადააგდონო.

ქაცი რასაც აქ სიკეთეს იქს, საიქიოს  
დახვდება.

ო. ქაცი რასაც გასცემს, ღმისრთიც იმას  
მისცემს.

ქაცი რომ თავს სიავეს უზამს, იმოდენს  
შეიდი ეშმაკიც ვერ უზამსო.

ქაცის აშენებული სახლი ქალმან და-  
აქციაო; ქალის აშენებული — კი ეშმაკმაც  
ვერაო.

ქაცი სიკეთისაგან სიავეს უფრო აიტანს  
ქაცმა ძალლი დასაჭმა და ძალლმაც შისი  
კუდიო.

ქაცს თავის ბრალი ზურგზედ ჰკიდია,  
სხვათა კი ცხვირზედაო.

ქაცი ქაცს შეხვდებაო.

კპილის ნაკრეტნით მუცელი არ გა-  
ძლებაო.

ქედელს ცერცვი შეაყარე და მგელს  
კრავი შეაყვარე.

ქედელს ცერცვი შეაყარე, არ დაიჭერს  
<sup>16</sup> პიღევც მეტყემალებოდა, კიდეც ვჭამე  
ტყემალიო. სთქვა გურულმა მანდილო-  
სინმა ორსულობაში

პითხვა კითხვით სტამბოლშიც მივლენო  
ძრავის თავს მოველოდი და ძალის  
თავი გამიგორდაო.

### ლ.

ლამაზი ქალის ცოლად შერთვა წყა-  
ლში ჩივარდნააო.

ლამაზი ცოლი მყავს, მაგრამ გალმა  
(სხვასა) კაცსა ჭყავს.

### მ.

მადლს თუ შვრები მარილიც თან მო-  
აყარეო.

მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გა-  
მონახეო.

<sup>17</sup> მამიდას ელბნებოდნენ და რძალს ასმენ-  
დნენო.

მამის სული გაეშვათ და პაპისას ფიცა-  
ვდნენო.

მართლის მთქმელს ადგილი არ აქვს;  
თქვას და გზას გაუდგესო.

მარხვის ჭამა ღამეწამა, ნეტა რაშე შე-  
მეჭამა!

<sup>18)</sup> ბარჯვე (ცქაფი) კურდლელი თავისთვი-  
საც იშოვის (ბალაბს) და სხვისათვისაცაო

მას წააგლიჯე — მასვე წააგრიხეო (იმერე-  
ლმა სთქვა, ცხვარი როს ზაექცა).

მაღლა მაღლა ყვირის შვილის პატრონიო;

წელლია დადის შვილის პატრონი;

სულ თავში ჯდება პურის პატრონი;

უსუდროთ კვდება ფულის პატრონი;

მაძლარ ხუცესს დიაკვანიც მაძლარ  
ეგონაო.

მგელს მგლობა გაუვიდა და ტურამ ქვე-  
ყანა ამოაგდოვო.

მეგრელის სახლში ნუ შეუშვებ, თორეშ  
კარში გამოსვლას აღარ იფიქრებსო.

მე ვსვამ ღვინოსა და შენ სთვრებიო?!

<sup>19)</sup> მექვერცხე დედალსავათ რას იარებიო.

მე ვსწუვხარ და ის ოდელას იძახისო.

მელას რაც ესიზმრებოდა, ის აკონტე-  
ბოდაო.

მელას ურმით არა სდევენ.

მესხი მოვიდა და მკვიდრნი აჭყარაო.

<sup>20)</sup> მეფე გულში მლეროდა და ყმანო

ბანი მიორარითო.

მეტის მეტი ჰილში ხარს უკუღმა წინ-  
ყვანსო.

მეტის-მეტი, რეტის-რეტიო.

<sup>21)</sup> მეტის ტანის ბანითაო, მკვდარს — წაუ-  
ვიდაო.

მზახალო, წვენი მიირთვი, და ფოჩიც  
კარგიაო;

მთა და ბარი არავის გაუსწორებია და  
შენ უნდა გაასწოროვო!

მთქმელი არ იქს და მქნელი არ იტ-  
ყვისო.

მიკიტანი ბაზაზობას კერ იქს.

<sup>22)</sup> მომხდურს დამხდური უნდაო.

მირბის მორბის გაბრიელი, ხელი უჭი-  
რამს კუპრიელი, არავინ ჰყავს მაღრიელი.

შიწა იყარე დიდი მთისაო და ქალი  
ითხოვე დიდი გვარისაო.

<sup>23)</sup> მიხვდა ბერი ცხონებასა.

მიხვდა ბერი ცხონებასა და მინვდრის  
მღვდელი ქონებასა.

მოკავანე კათამი კვერცხს არ დასდებს.

მკბენარ ძალლს ჰურის მიგდება უნდაო.

მკვდარმან გააკუაო.

მოკავანე კაკაბი მახეში ჩავარდებაო.

მოლა ვირზედ ოჯდა და ვირს ეძებდათ.

მომღერალი თავს არ იცხელებს, მობანეთ რა ჰეჭითო!

მტერი რომ არა გყავდეს, პირობის გატეხით მტერს ნუ გაიჩენო.

მქნელი იყო, კარს უკან დაიმალებით.

მჭამელი და არა მქნელი.

მჭედელს დანა არა ჰქონდა და ქსლის-მბეჭველს ხელსახოცი.

მჯობნის შჯობნი არ დაილევათ.

## 6.

ნათხოვარი მოგიხდება, ისევ შალე წაგიხდება.

ნეტავი ათი დამკრან და ერთი მართალი მათქმევინონო.

ნეტარ შენ, ყვავო, დარღი არა გაქვს! ..  
— დარღი როგორ არ მაქვს: თავი მელამაზება, ცოლი მეჩირქინება, გვერდით რომ მომიჯდება, გული ამომიჯდება!!!..

ნიორმა თავის სიმყრალე შვიდ წელი-წადს შეინახა.

ნიორი თუ არ გიჭამია, პირი რათ გეწვის?!

ნორის ქალი გაიძუტა: ღორის ხორცია

არა ვჭამო; როს შეჭამეს, ბუტბუტებდა: /39

ნი მაინც გეჭმიათო;

ნურც ეშმაკს ნახავ და ნურც პირ-  
ჯვარს დაიწერო!..

III.

ობოლი დიდ-გული რო არ იყოს, არ  
იქნებაო.

ობლის პატრონი ღმერთია.

ობოლის კვერი ცხვა, ცხვა და კარგად  
გამოცხვა.

შ. მარანონა ზოგს ააშენებს, ზოგს და-  
აქცევს და ზოგსაც გარდააშენებსო.

ორივე აღონამ\*) დაგაშ ამათაო (ურია მ  
ურიას გაშავებაში უთხრა).

ორი კაცის გასვლა ერთ კუტებდ —  
ლაშქარიაო.

ორი კაპეიკი ჩემთვის კარგი მწვანილიაო

ორი კურდლლის მაღევერი ერთსაც  
ვერ დაიჭერსო.

ორი ბატონის ყმა ციყავ, ზან ესა მცემდა  
ხან ისა; ორივ ერთ-დღეს დამეხოცნენ:  
ხან ეს ვიტირო. ხან ისა

\*<sup>24)</sup>) ორ ძიძას შეა ყშარწვილი მოკვდაო.

\*) აღონა ღმერთია ეპრაულად

მრი ჯამბაზი ერთ თოკზედ კერ ითა-  
გაშებსო.

3.

პატარა კაცმა ლიდი სიზმარი ნახაო.

პატარძალო პატარაო, წყალს მიიტან  
სხვას არაო; ჩამოჯდარხარ კერის ძირს და  
სულ გამხდარხარ მასხარაო.

პატივს ნურცა მოითხოვ და ნურცა  
დაითხოვ.

ჰეპელა სინათლეს დასდევს.

პირი ღრინს არ მიშვრება.

პილპილი თუ არ გიჭამია, პირი რათ  
გეწვის (გიყარს)?

პირუტყვიც სულიერია (გალახვაზე).

პირველი ცოლი ბედია. მეორე დამონე-  
ბაა, მესამე ვირზე შეჯდომაა და მეოთხე  
გაჭენებაა.

პრანკული კი არ მეტკინება, მეწყინება,

პირში დუმაა და უკან დანაო.

პურა-ძვირი უშვილო რიმ არ იყოს, არ  
იქნებაო.

4.

შამი ფამს, ფამი ნიადაგ იწირვებაო.

შივჭავის ულეტა კაცს მოსწყინდება და  
არა მტრის.

რ.

რად მინდა თქროს ლაკანი, შიდ სისხლი  
ჩამოდიოდეს?

რა ვქნა, არღარა მესმის რა, კაცი ვარ  
მხურამს ქულია; გავყევ მე შენს პირტკბი-  
ლობას, გზანი გქონია მრუდია!

რა ვქნა რო არა ვსტიროდე ხიზაბავრელი  
ქალიო, პირდა პირ ჩამომჯდომია სიკვდილის  
ფერი ქმარიო.

რაც არ ექნეს მამა შენსა, ნურც შენ  
გისდევ იმ საქმესა.

რაც არ მომიხდება, არა გამიხდება.

რაც არ შომიხდება არა წამიხდება.

რაც გინახავს, ველარ ნახავ.

რასაც იტყვის მეგრელიო, ხელთ არა  
აქვს იმტელიო.

რაც ზეზე სჩანს, იმდენი დედამიწაში  
დაძვრებაო.

რაც მამა პაპას უქნია, მეც იმას ვიქო.

რა ჰქნას კარგმა მონადირემ თუ ნიშანში  
არ მოუვა?!..

რეგვენ კაცს თავში კი არა და თვალში  
აქვს ჭკუა.

რეგვენმა შვილი მოჰკულია, დაჯდა და  
თვითონვე იტირა.

როგორიც აღხანაო, იმ ნაირი ჩალ  
ხანაო.

როგორც გიჭირდეს, ისე გილირდეს (გი-  
ლხინდეს).

როცა არის, ეს თხა მგელის პურიაო.

რწყავს მრწყველი და ხედავს ღმერთი.

რწყილს ნაშტარი ჭრეს და მეტიც არ  
შეეძლო!...

ს.

სადაც გილხინდეს, იქვე გიჯობდესო.

სადაც ჩიტი გაიზრდება მისი ბალდადიც  
იქ არის.

სად ერეკლე, სად თოროზანთ თეკლე.

სად ჭრა, სად გახეთქაო?!...

სამშობლო რომ შორსა გქონდეს, თა-  
ვის ქებას დიდი არაფერი უნდაო.

სანამ წნელი ნედლია მოჭრა უნდა.

სანამ კეცი ხურს-ცომი დააკარიო.

სანამ ყმაწვილი არ იტირებს, დედა ძუძუს  
არ მისცემს.

სანამ ჭირიანი დაფიქრდა, უჭირომ მთები  
გარდავლო.

სანთელი თავის ძირს არ გაანათებს.

სარწმუნოებამან შენმან გაცხონოსო!..

სარწმუნოება უსაქმურად მკვდარია.

სასელი სჯობს ქონებასა.

სახელი სჯობს ქონებასა და უფლება  
მონებასა.

სვავი ძვალს გაზომავს და ისე გადა-  
ყლაპავს.

სვინაო, შენსას ჩემი მირჩევნია და სხ-  
ვისას შენიო!

სვინაო, ფოჩვი მიირთვი და წვენიც  
კარგიაო!

სიზმარი არ გამოდგება, სინათლე სჯობს  
ბწელსა.

სიკვდილმა სთქვა: კუს ისე ვერ მოვ-  
კლავ, რომ მე არ დაშბრალდესო.

სიკეთისთვის სიავეო.

სიკვდილს უკან სინანული არ იქნება!..

სილა ძლვენს თავედი ეჭირვება.

სიმონაო, კარ-კარგო და შინ მონაო.

სიმდიდრე თუ გინდა, აჭარისკენ წადიო.

<sup>25)</sup> სიმცრეუის მერეშიო.

სისხლი სისხლით კი არა და წყლით  
გაიბანება.

სირცხვილიც კარგი შეია.

სიტყვა ქარიაო.

სიტყვის თქმასაც მისი ადგილი აქვს.

სიტყვის თქმაც რიგით არის.

სიტყვის თქმასაც (ლაპარაკება) მისი ზომა აქვს.

სული გვამშიარ უდგება (აჩქარებულზე  
ითქმის).

სულის სიმართლეზე თქვიო.

სილატაკემ დიბა მაცვეთინაო.

სიყვარულმა სირცხვილი არ იცის.

სიძევ, მოიჭარი და ჭამეო!

სომეხი და სხვა მეხიო.

სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე  
უჯოხო.

სტამბოლში ვირი კიტრად ლირს, მაგრამ იქ წასვლას ბევრი ფულები უნდაო.

სულ არაობას, ქალიც შეილიაო.

სული მწარეა.

სული სულს იცნობს, გული გულს.

სულ-წასული კაცი უჭირუოს მონახევრებო.

ტ. სწავლა გონების საზრდოა და ჭკუის წარმმატებიაო.

<sup>25</sup>] სხვას უდღად ხარი უქადე – შენ ღმერთი მოგცემსო.

სხვისი ლუკმა გდერიელია.

ტ.

<sup>27)</sup> ტაი—ტაი ტაბელასა, ვაი-და-ვუი გა-  
ბელასა!..

ტირილი ცხვირზედ ჰკიდიაო (მტირა-  
ლებს).

ტლეკვია კაცი შვიდჯერ გაძარცვეს  
და ვერა დაალკეს რა.

უ. ტრაბახობა უგვანი კაცის საქმეა.

ტყემ სთქვა: ცულმან მდვა მუსრია, ტა-  
რი კი ჩემგან უყრია.

ტყუილის თქმასაც მოხერხება უნდაო.

ტყვილს იქამდის მიჰყევ, ბოლო გამო-  
უჩნდესო.

ტყვილის მთქმელის ნაყოფი ის არის,  
რომ მართალსაც აღარ დაუჯერებენო.

ტყუილს მოკლე ფეხები აქვს.

უ.

უარშიო შვილი მშობელთაც ნუუ გა-  
ჩრდიაო.

უბედოთ არაფერი იქნებაო.

უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო.

შთავბოლო ტირილი მკედარს ფეხებს  
გააქნევიებსო.

უნახავმა რა ნახაო, ნახა და გაუკვა-  
რდაო.

უნახავმა რა, ნახა სუყველა გაიკვირვაო.

<sup>28)</sup> უნახავმა რა ნახაო, აჲ, რა დიდიაო!...

ურემი რომ გაღაბრუნდება, გზა — დიდი  
გამოჩნდება.

ურემს რომ ძალა დააღება, ჭრიალს  
დაიწყებს.

ურია რომ გაღარიბდება, ძველს ვალებს  
მოურბენს.

ურია პირველად შვილს რომ გააგზავ-  
ნის სავაჭროდ, იტყვის: ლმერთო, დააზარა-  
ლე, რომ დღეის შემდეგ თვალი გააღოს  
წაგება-მოგებაზედაო!

ურია ტყეში მრუდ შეშას არ მოსჭრის, —  
აქ მე და შინ ცოლ-შვილს გამიწვალებსო.

ურიის ვალი მირჩევნია შენს ვალსაო.

ურიის რჯული დაბლარჯნული.

ფ. ურიის ხმალი ჩემს კისერზედაო.

<sup>29)</sup> ურია ფიცავდა, ჭრისტიანი არა სჯე-  
როდაო.

შსჯლუომ დაიფიცა და სჯულიანმა დაი-  
ჯერაო.

უცნობი კაცის გულის გაერთება, ან  
უჭირულის, და ან ტრფიალებისაგან არისო.

ც.

ფეხს საბნის დაგვარად უნდა გაშლა.

ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს; არ  
ვიცი ეს რასა ჰეგავსო.

ფური ვერ მოიწველა „ ბაკი ბრუდეაო.

ქ. ფუტკრის შრომა და ჭინჭველისა კაცს  
ჭირას ასწევლისო.

დ. ფუჭი კაკალი არც ყვავს არგია და  
არც კაცსაო.

ქ.

ჩალი მორცხვი,—ქვეყნის ფასი; კაცი მორ-  
ცხვი, კვერცხის ფასი.

ჩალის პატივი ძალლმაც იცისო (შეი-  
ნახაო).

ჩალმან სთქვა: ბედი მომეცი და სანე-  
რვეზედ გამაგდეო.

ჩალმან ფური წველა, ხბო კასრზედ გამო-  
აბა; ეშმაკმა სთქვა: ახლა რომ დააჭიროს,  
მე დამაბრალებენო.

ჩალსა დედა გაუშინჯე, სამოსელსა ნა-  
წიბური.

შართველ კაცს თავსა სჭრიღნენ და ტა-  
ნი მშვიდობას აძლევდაო.

შართველის ჯიბე გახვრეტილია, სომებშა  
სთქვა: ფული არ დადგებაო.

ჩაშის შეშინებული, დოს უბერავდაო.

შაჩალმა უთხრა ქოჩიანსა: აი შე, ქა-  
ჩალოვო;

შვა ქვას შეხვდება, თორებ კაცი კაცს  
— რა საკვირველიაო.

შეეყანა ბორბალია: ზოგს ააშენებს და  
ზოგს დააჭუვს; — ზოგს აამაღლებს; და  
ზოგს დაამდაბლებსო.

შორწილი ჩემი ძმისასა და აღაპი პაპი  
ჩემისასო.

შუდა სიცივისათვის კი არა და, სირცხვი  
ლისათვის გვხურავსო.

შურდი და ავი შემნახავი ორივე ერთიაო.

შურდი და მისი ამხანავი ორივ ერთ რი-  
გად ისჯებიანო.

### ღ.

ღარიბ კაცს ხერხიანი შვილი რომ ჰყავ-  
დეს, ღარიბი აღარ იქნებაო.

ღმერთი არც მოატყუებს, არც მოსტყუ-  
ლდება.

ლონესაც მოხმარება უნდაო.

ლორჩევ და დაკვირვება ლონიერია არა  
უერთია, მაგრამ ლორობა და დათვობა მოს-  
დევთო.

ლორს მარგალიტი დაუყარე!..

ლორის ტყავი ძალლმა რიერთიც უნდა  
სძლიძლოს.!!

კ

შასაბს თეთრი თხა შიგნით გარედგან მსუ-  
ქანი ეგრენაო.

³⁰ შბას ნუ მიქცევო.

შბედი ვინ მოლალაო და მუნჯმაო.

შბედის პირი ძალლის კანით არის მოქ-  
ნილი, რაც იყბედოს არ მოსწყინდება.

შვავს კაკალი გააგდებინე, ისიც კაი ღვთის  
წყალობააო.

შველა ბეჭით იქნებ აო.

შველა ფრინველი ფრთით ფრინავს, ქა-  
ლი კი ქმრითაო.

შველა ფრინველი გარეთგან ჭრელია,  
კაცი კი შიგნიდგანო.

შველა კაცი კაციაო მაჩაბელი, (კახაბერი)  
კი სხვა კაციაო.

შველა კაცი ფეხს იხდისა და კახაპერი  
კი იცვამდაო.

შველი ჭამიას (პარიას) ყველი აგონდებოდათ

შმათ სთქვეს: თუ ეს მთა იმ მთას ეცემა.

ჩვენცა ბატონისა წყალობა მოგვეცემა.

შგაწყილის წელი ეკალზედ ეკიდა და ისევ  
ფანცქალობდათ.

შმაწვილი რომ შინ მშიერი იყოს, რა  
უნდა გარეთ ტაბლასაო?

კ. შმაწვილს და გიუს არა ეძრახება რა.

შგაწვილს მეფეზედ დიდი უფლება აქვსო.

გ. პურ მოჭრილი ყმა და ბრმა ორივ  
ერთ რიგათ უნდა იყვნენო.

შური დათვალი მისთვის არ გაიზრდებიან  
რომ ბევრს რასმეს ნახვენ და გაიგონებენ.

### გ

შავი გული, თეთრი კბილი, შენთვის  
არა მშურებია.

შავი მიწის მეტი კაცის თვალს არა  
გააძლობს რაო.

<sup>31)</sup> შარშან ჩემი შვილი ცხენს გაიჭენებდა  
და წროულს კარიაზეც ვერ გადაიარსო.

შავი ქვა და ნაკარი ცხელიო.

შენი ბატონი შვიდ წელიწადს რომ ვი-  
რათ გყავლეს, ჰაჩის ნუ ეტყვიო.

შენი ბატონი ხიდად რომ გყავ დეს ზედ  
ნუ გაივლიო.

<sup>32)</sup> შენი ენა მოლასა სწვამსო:

შვიდი ჭურის ამდუღებელიაო.

შენი გულის პასუხს მიხედე, ის გეტყვის  
თუ კი ჰქითხამო.

შენ და შენი საიქიო, მოკვდე ფეხი გა-  
იქნიო.

შენი ჭირიმეთი შვილი არ გაიზრდება.

შენ სჭამო და ჩემმა სულმა ზღვო ო?!

შენ შენს ფუშრუკს მოურიეო.

შორს და შვიდობითო (დამდურებაზე.)

ჩ. შურიან კაცს მეზობლის ვარდი ეკლად  
მიაჩნდაო,

### ჩ.

ჩავაკრამ ცეცხლსა კვერსა თ და დაგ-  
შხამამ ყველასაო.

ჩაწიხლე წაქცეულიო.

ჩემი ავლა დიდებაო, ჯინჭველას აეკი-  
დებაო.

<sup>33)</sup> ჩემს ბალში ხილს არავის მოვაწყვე-  
ტიებო.

ჩემი შენ გითხარ შენათადა მით გული  
მოგიკალო.

ჩემს შვილს ჯავრზე ისე ვერ გავხეთ-

ქავ, რომ ჩვენი მეზობლის ქათამს საკვერ-  
ცხე გაუსკდესო.

ჩიტი ეკალს შეეხიზნა და ტოროლა  
კურცხალსაო.

ჩიტი წიწკნათ არა ღირდა, უკან დევ-  
ნა მეტი იყოვო.

### 3.

ვა მწყალობდეს, თორემ ღრუბელი  
ვერას შიზამსო.

ცალ-უღელი ხარი სჯობიან სულ არა-  
ობას-იო.

ვას არავინ შეჭბერებია.

ცოლი მოპარეს ბრმასა და ვერ შეიტყო;  
ხელი რომ მოუსვა მაშინ ხომ შეიტყოვო!?

ცოლსა დიდი ცომი უნდაო.

ცოლქმარის აშლა მეზობელს გაყრა  
ეგონაო.

ცოცხალს არ მეცვა კაბანი, მკვდარსა  
მიკრავდნენ კუბოსაო.

ცუდა კაცი ბარძაყში მახათს იყრიდაო.

ცუდათ ჯდომას ცუდათ ხტომა სჯო-  
ბიაო.

ცულს ტარი შიგნდგანი დაესხვის

ცუნცრუკი ამ წამს ნათქვამს, იმ წამსვე  
გადათქვამსო.

ცხარე ძმარი თავის ჭურს გახეთქს.

ცხვარი ცხვარია თუ განრისხდა ცხარია.

ცხვარო, ვისი ხარ და ვის კარზედაც  
ვბლავიო.

ცხვარში მგელი ჩაერია და ვაი ერთის პატ-  
რონსაო.

ცხენიანი ქვეითს დასცინოდაო.

ცხენი გვარით გარქცევა.

ცხენითგან ჩამოვჯეგ და ვირზედ შევ  
ჯეგო.

ცხენის წინ კვიცი რო გაიქცევა, მგელი  
შეშჭამს.

ცხენს კუდს მოედანზედ ნუ მოსჭრი;  
ზოგი გძელს იტყვის, ზოგი მოკლეს და  
დაგიმახინჯებენო.

ცხენს რო იყიდიან, კბილს გაუსინჯვენ.

d.

ძალათ ბედს ვერეინ იშოვნის.

ძალათ ლამაზობა არ იქნება.

ძალა აღმართსა ხნავს (მროველი დაეჭა-  
და მესხებს: ქართველ მეფეს ჩაჰარდითო,

დამორჩილდითო; რა იბრძოლეს, დაითრიეს  
მროველი ამ სიტყებითა. „ძალა თუ ხნამს  
აღმართსაო, ნებაც დაფარცხს დაღმართსაო“.

— ძალა თუ ხნამს აღმართსაო, ნებაც  
დაფარცხს დაღმართსაო.

ძალათ გატანებული მწევარი კურდლელს  
ვერ დაიჭერს.

ც. ძალათ ნურც რას იტყვი, ნურც სხვას  
ათქმევინებო.

ძალლს დასაჭმეს და ძალლმაც მისი კუდიო.

ძალლი ახსენე, ჯოხი ვვერდით მარაზეა  
ძალლი იყეფებს, იყეფებს. დაჩუმდებაო.

ძალლმა სიჩქარით სულ ბრმა ლეკვები  
ყარაო.

ძალლი კოჭლობით არ მოკვდება.

ძალლის სამარე მგლის მუცელიაო.

ძალლი გაკრიჭეს, პატრონი გამოუჩნდაო.

ძალლი ქლიბს ლოკდა — სისხლი გასდიო-  
დაო, იძახდა: მე კი არა ჟ ქლიბს გასდისო.

ძალლი ძალლის ტყავს არ დახევს.

ძალლი ძალლის ტყავს დახევს?

ძალლისა ყეფაო.

ძალლისაგან კრავი დაიბადება?

ძვალი პავლიასა ჟ რბილი კიკოლასაო

ძმა ძმის მტერი, ღმერთი ორსავეს გა-

გამტვერი.

ჭ.

ა. ჭალი მოდი ჰეკუისაო, ეშმაკივით  
სტუეისაო.

<sup>34)</sup> ჭამოტარახინებულმა ძაღლმა დაგი-  
მადლობო.

ჭამწყმიდა წახედულობამ.

ჭასვლა სჯობს წამავალისა, არ დაყოვ-  
ნება ხანისა.

ჭერას ხომ არ აუზანიხარო?

ჭითელმა ფურმა იწველა, იწველა, ჰკრა  
ჭიხლი და დააქციაო.

ჭითელო ვაშლო; შენ გესვრი, თეთრო,  
შენ ჩამოვარდები.

ჭინ კლდე, უკან დიდ, შეწყერი.

ჭისქვილს ჩემი ეყაროს და ვინც რა  
უნდა სთქვასო. ხაჭაპურები და ლვინო  
ხომ თავისას ფქვამსო.

წ. წიწმატივით რას წიწმატობო. (მოუ-  
თმენლობაზე).

წყალი ნაყე-ნაყე,-ისევ წყალია.

წყალწალებული ხავს ეკიდებოდა.

წყვინტლიან კაცს ავუარი მიხეზათ  
ექმნაო

წყალი ბევრს რო დაღვება—აუროლდება

ჭ.

ჭანდარი მაღალს იზრდება, მაგრამ ნა-  
ყოფი არ მოაქვს.

ჭიას ფეხი არ დაედგმის.

ჭიის მოკვლაც ცოდვაა.

ჭირი სიღედრსაო.

ჭირი სიღედრსა და ლხინი პირთეთრსაო.

ჭირში სულგრძელობით მოთმენაო.

ჭკუას, რომ არიგებდენ, შენ მაშინ სად  
იყავი?

ჭ. ჭკუა საჭირო გამოჩნდებაო.

ჭკუა ყოველ კაცს აქვს, მაგრამ (მოგო-  
ნება) მოხმარება უნდაო.

ჭკვიანი ბუზი დოს დააჯდება ქალაქში  
გაჰყვება, უჭკუო ბუზი — ხორცის დააჯდება,  
სოფლად გაჰყვება.

ჭრელ-ჭრული გიუის ლხინიაო.

ჭურში რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო

ბ.

ხარს მამობით მოიხმარებენ და ფურს  
დედობითაო.

ხატს სანთელს ნუ დაჰპირდები და ყმა-

წვილს კვერსაო; თუ დაპირდე, კიდევაც  
აუსრულეო.

ხუთი თითი აქვს კაცსა, ხუთივ ერთ  
მეორის უსწორო.

ხუთ-თითში რომელიც მოიჭრა დაგეწვისო  
ხუცესო, ხუთ-მუცელოვო.

ხუცესო, ხუთ-მუცელო, ქვრივ ობლებისა  
მქუცველო.

ხე რომ წაიქცევა - ცულიანი და უცუ-  
ლო ყველა ზედ შეცვივა.

ხილი სჭამე და ხეს ნუ ჰკითხულობო.

### ვ.

ჯავახელების საათი მამალია.

ჯავახია დაბრიყვობსო, და თავისთის  
იყოსო.

ჯარავ ჯარავ ბზრიიო, ლამბო გამიწ-  
ყდიიო; დედამთილის საპერანგევ, ოხრად  
დამირჩიო.

ჭინჭველას რო ფრთა გამოესხმის ღმერთიც  
მაშინ გაუწყრება.

### ვ

ჰკიარ შინაურს, თორემ გარეული სად  
წაგივავო

ჰასან-ჰუსეინ ველიაო ნახირი ერთად  
გვერიაო; მეც ვაგინე და იმანაც, ჩხუბი  
გამოგვერიაო.

ჰა შორს წასული და ჰა შინ მოუსვლე-  
ლიო.

ჰაჩი, ვირო, არტანელო, შეშა მკვრისა  
მომტანელო.

---

ისუიდება უკალგან მესხი პ. გვარამაძის შეგრე  
გოლი შემდეგი ზეპირ-სიტყვალბა:

- 1) მესხური ლექსები ფირ 5 გ.
  - 2) გამიჯნურებული ქალ-გაუის ლექსი 5 გ.
  - 3) მესხური ანდაზები და გამოცანები 10 გ.
- 

ამ ცოტს ხანში მზადდება დასაბუჭიდათ მისგანგა  
შეგრებილი სალსური „ქორელლი“

ამ ანდაზების გამოსაცემათ შემწეობას აღმომა-  
ნინეს შემდეგ ჰილებმა:

#### პათომში:

6. ლოლოერიძემ	2 გ.
3. ურიკაშვილმა	1 "
გიხ. შარაშ ძემ	1 "
შ. ს. თათიძეძემ	1 "
ა. მიქელაშვილმა	1 "
6. ცეცხლაძემ	1 "
გ. ჩიქორიძემ	10 გ.
ივ. მესხმა	1 "



#### ოზურგეთში:

გ. ხუნჯაძემ	2 გ.
იაგ. თაყარშვილმა	1 "
მოსე ურუშაძემ	1 "
გ. შავიძვიაჭმა	—20 გ.
ვლ. მგელაძემ	—60 გ.

